№ 107
შაბათი, 20 მაისი, 1900 წ.

გაზეთის ღირს:

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 . . . | 10 — | 6 . . . | 6 — |
| 11 . . . | 9 50 | 5 . . . | 5 50 |
| 10 . . . | 8 75 | 4 . . . | 4 75 |
| 9 . . . | 8 — | 3 . . . | 3 50 |
| 8 . . . | 7 25 | 2 . . . | 2 75 |
| 7 . . . | 6 50 | 1 . . . | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

„ივერიის“ ტელეფონი № 227

1877—1900

# ივერია

№ 107
შაბათი, 20 მაისი, 1900 წ.

რედაქცია:
ნიკოლოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.

გაზეთის დასაგარებლად
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიმართონ რედაქციის და წერა-კითხვ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიას

ფასი განცხადებისა:
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე 16 კაპ, მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი № 22

აზნაური პავლე გიორგის ძე ქუთათელაძე, მეუღლე მისი სარრა ბესარიონის ასული, სევერიანე და პროკოპი ჩხენკელნი გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებას, პირველნი—საყვარელის ძისა თვისისა, ხოლო უკანასკნელნი—ძვირფასის დისწულისა, მეხუთე კურსის სტუდენტის

**გიორგი პავლეს ძის ქუთათელაძისას.**

ტირილი და გამოსვენება დანიშნულია დაბა ხონს. გამოასვენებენ საკუთარის სახლიდგან წ. გიორგის ეკკლესიაზე 21 მაისს 1900 წ. კვირას, დილის ათ საათზედ. (1—6.—1)

ოზურგეთის მაზრის თავად-აზნაურთა წინამძღოლი **თავადი იასონ გელოვანი** გულითადის მწუხარებით აუწყებს ნათესავთა, მეგობართ და ნაცნობთა გარდაცვალებას ძვირფასის მეუღლისა თვისისა

**თავადის ასულის დუცასი**

სოფელს ახალ-ქალაში. მიცვალებულის გამოსვენება და დაკრძალვა საგვარეულო აკლდამაში დანიშნულია ოთხშაბათს, 24 ამა მაისისას. პანაშვიდი ყოველ დღე შესრულდება დილით და საღამოთი.

## პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ) ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

**ვ. ა. ნავასარდიანი,** 11—12 საათ. სადოსტაქრო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

**უ. მ. ჩიქოვანი.** 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

**ზ. ი. ბაბანასიანცი**—დილის 11—12 ს. ქალთა და ბავშვთა სენით ავადმყოფებს

**ა. ნ. შპაკოვსკი.** 12—1 ს. ყურისა, ყელისა და ცხვირის ავადმყოფობისა.

**ა. პ. კარაპეტიანცი** 1—1½ საათ. შინაგანი და ბავშვებისა.

საღამოობით:

**ა. ნ. შპაკოვსკი.** 6—7 საათ. ნერვებისა (ელექტროთერაპიისა) ვენერიულისა და კანის ავადმყოფობისა.

**ვ. ა. ნავასარდიანი.** 7½—8 საათ.

**ვ. მ. მახვილაძე**—ქიმიო-მიკროსკოპიული გამოკვლევანი.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური; ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმის და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

**ლ. ტ. არვანიტაკი**—11—1 ს. გაუკეთებს სახლში მსურველთ „მასსაჟს“, აუცრის ყვავილს და გამართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმების დანიშვნით.

დირექტორი სამკურნალოისა დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лѣчебница *Д-ра Навасардіана.*

Тифлисъ, противъ памятн. Воронцову.

## ტფილისის კერძო სამკურნალო

მკურნალის

მიხეილ გედევანიშვილისა

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე

კვირა დღეების გარდა

დილით:

**ვ. ი. ჭიჭინაძე.**—კბილის სნეულებანი, 8—10 საათ.

**გ. გ. მაღალაშვილი**—შინაგანი—9—10 საათ.

**ი. პ. ახალშენიშვილი,** კბილის სნეულებანი, 10—2—მდის.

**მ. ა. პოკროვსკი**—შინაგანი, ბავშვებისა, ბავშვებისათვის ყვავილის აცრა და ქიმიო-მიკროსკოპიული გამოკვლევანი 10—11 საათ.

**მიხეილ გედევანიშვილი**—ნერვებისა და წამლობა ელექტრონით—11—12 საათ.

**ნ. ტ. მულინი**—ყურისა, ყელისა და ცხვირისა—11—12 საათ.

**ა. ნ. შატილოვი**—თვალისა 12—1 საათ.

**მ. ლ. მარკოვიჩი**—12½—1½ საათ. სადოსტაქრო.

**ი. დ. ბეგთაბეგოვი**—საფილისისა, კანისა და საშარდესი—1½—2 საათ.

საღამოთი:

**დ. ა. გედევანიშვილი**—ნერვებისა და შინაგანი—5—6 სასაათ.

**ი. ნ. თუმანიშვილი**—დედათა სნეულებანი—5—6 საათ.

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები და კაბინეტი ბაქტერიოლოგიურ და მიკროსკოპიულ გამოკვლევათათვის.

ფასი რჩევა-დარიგებისა 50 კაპ., ოპერაციები—მორიგებით. კრაოტი—4 მ. დღე და ღამეში. ერთი კრაოტი ღარიბთათვის უფასოა.

კუკია, ნიკოლოზის ქუჩა, სახლი სიგანშვილისა, № 21 (ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ).

ტელეფონი № 274.

დირექტორი სამკურნალოსი **მიხეილ გედევანიშვილი**

## ახალი ამბავი

⁂ დუშეთიდგან გვატყობინებენ: 18 მაისს გზად გამოვლილს მისს უდიდებულესობას სპარსეთის შაჰს მუზაფარ-ედდინს დუშეთის მკვიდრნი მიეგებნენ და დუშეთის მაზრის თავად-აზნაურობის წინამძღოლმა რუსულად და მისმა მეუღლემ ფრანგულად მიულოცეს მშვიდობით მგზავრობა. საუზმის დროს, რომელზედაც მიწვეულ იყვნენ დუშეთის მაზრის თავად-აზნაურობის წინამძღოლი გ. ყარანგოზიშვილი და მისი მეუღლე, მისმა უდიდებულესობამ შაჰმა წინამძღოლის მეუღლეს ბრილიანტებით შემკული ბეჭედი უწყალობა.

⁂ გუშინ, 19 მაისს, გოლოვინის პროსპექტზედ მირიმანოვის სახლს, სადაც „ორიანტის“ სასტუმროა მოთავსებული, ცეცხლი გაუჩნდა. სახლს ცეცხლი გასჩენია სახურავის შუა ადგილიდგან. ცეცხლი უთუოდ დილით ადრე გაჩნდა, რადგანაც ათს საათზედ უკვე დიდს მანძილს მოედო. მალე მოვიდა პოლიცმეისტრის თანამდებობის აღმასრულებელი ბ-ნი კოვალიოვი, რომელმაც დაუყოვნებლივ განკარგულება მოახდინა ცეცხლის მქრობელ რაზმის გამოსაწვევად. გამოწვეულ იქმნა აგრეთვე სამი ბატალიონი ჯარი, რომელიც მთელს შენობას შემოერტყა წესიერების დასაცველად. მოვიდნენ აგრეთვე კავკასიის მთავარ-მართებლის აღმასრულებელი, ტფილისის გუბერნატორი,

## ფელეტონი

### სიმდიდრე ბედნიერებაა?

(ეტიუდი ქ-ნის საილენსისა)

ბატონი რაკილი ძალიან მდიდარი სოვდაგარი იყო, თითქმის მთელის ხმელეთის ზღვებში დასცურავდა იმისი ხომალდები და ყველა დიდ კაცად იცნობდა. სცხოვრობდა იგი მშვენივრად მოწყობილს სასახლეში, რომლის მდიდრულად მორთული ოთახები ორხუებით იყო მოფენილი; იმისს სუფრას მრავალნაირი საჭმელი და მშვენიერი ღვინოები, აგრეთვე სხვა-და-სხვა საგანგებო ხილი ამშვენებდა. ამისდა მიუხედავად ბედნიერი არ იყო და აი რადა: დეკემბრის ერთს ცივს საღამოს ბ-ნი რაკილი მიდიოდა ფეხით სახლში. ქუჩის ბოლოში რაღაცა შენობას აკეთებდნენ და მრავალი ხის მასალა ეყარა, რომლის წინაც გავლა მოუხდა. იქვე იდგა ერთი გაყვითლებული და ღარიბად ჩაცმული ყმაწვილი კაცი, რომელიც ავადმყოფსა ჰგავდა. ძალიანა სთოვდა და საძაგელი ღამე იყო. ყმაწვილი კაცი შენობას შეჰფარებოდა და ფიცრებზედ წამოწოლილიყო. როდესაც რაკილი მიუახლოვდა, ყმაწვილმა მოიკრიფა რაც ძალი და ღონე ჰქონდა, წამოდგა და დასუსტებულის ხმით დაიძახა: „ღვთის გულისათვის, მიშველეთ რამე!„ სთქვა ესა თუ არა, წაბარბაცდა და პირ-ქვე დაეცა. ბ-ნმა რაკილმა არ მიაქცია ყურადღება და სიარული განაგრძო, მხოლოდ ესა სთქვა: „რა საზიზღრები არიან ეს ლოთები.!“ ამის შემდეგ მივიდა სახლში. მშვენიერი ცეცხლი გუგუნებდა მის მდიდრულს ბუხარში; ლამპარი ანათებდა და აჩაღებდა მშვენივრად მორთულ ოთახს, მაგიდაზედ ჩაი იდგა და ძვირფასი საჭმელები, მაგრამ არაფერი არ ასიამოვნებდა. ბ-ნი რაკილი მარტო იყო, ცოლი მოუკვდა და ერთად-ერთი მისი შვილი, მამისაგან დათხოვნილი, ვინ იცის, სად დაწრწოდა.

მამა ისე იყო გართული სიმდიდრის მოპოების ზრუნვაში, რომ დრო არა ჰქონდა მომეტებული ყურადღება მიექცია შვილის აღზრდისათვის, ვერ ვიტყვით, რომ შვილი არა ჰყვარებოდა, ის იყო მისი მემკვიდრე და მამა სიამაყით უყურებდა, როგორც გვარის წარმომადგენელს; ასე ეგონა, რომ სიმდიდრით ყოველისფრის მოპოვება შეიძლებოდა, თვით კაი-კაცობისაც, მაგრამ სცდებოდა. მართალია, შვილი საუკეთესო სასწავლებელში მიაბარა, მაგრამ უდედო ყმაწვილს არავინ ჩაუნერგა გულში გრძნობა პატიოსნებისა, თავმდაბლობისა და სიბრალულისა, რაიცა საძირკველია კეთილის ხასიათისა და ბედნიერის ცხოვრებისა. მამა-შვილი-კი ჰფიქრობდნენ, რომ მარტო სიმდიდრე საკმაო იყო ცხოვრებისათვის, ახალგაზრდა ბენიამინი არ იყო თავისს ტოლებზედ უარესი; კეთილიც იყო, ზრდილობიანიც, მაგრამ ასე ამბობდა: „ურიასავით მდიდარი ვიქნები, რად მინდა ბევრი სწავლა, ღარიბებმა ისწავლონ და იყვნენ პატიოსანნი, რადგან ეს იმათთვის საჭიროა, მე-კი ისე მოვიქცევი, როგორცა მსურსო“. ასეც სჩადიოდა: დაიწყო ფულის ფლანგვა, სმა და ცუდად ქცევა. 17 წლისა აღარაფრად ვარგოდა; მამას გული მოუვიდა, საშინლად გაანჩხლდა, გაუჯავრდა და გააგდო, სამუდამოდ აუკრძალა სახლში ფეხის შემოდგმა. ახირებულმა და თავისუფლად გაზრდილმა ყმაწვილმა ითაკილა, მაშინვე შევიდა მოსამსახურედ ერთს ხომალდზედ და წავიდა სხვა ქვეყანაში.

ორი წლის განმავლობაში აღარა ისმოდა რა ბენიამინისა, მამას ცოცხალიც აღარ ეგონა. ეხლა-კი ხშირად აგონდებოდა შვილი, იქნება კიდეც ჰნანობდა, რომ ვერ აღზარდა რიგიანად, თუმცა ამას დარწმუნებული არა ვარ, რადგანაც მარტოოდენ თავისის თავის მოსიყვარულე ადამიანნი არასოდეს არ აღიარებენ ხოლმე თავიანთს დანაშაულს. მაინც ბ-ნი რაკილი ხანდახან ეკითხებოდა თავისს თავს: „როცა მოვკვდები, ვის დარჩება ეს სიმდიდრეო?“ ჰგრძნობდა, რა უქმად გაატარა თავისი დღენი და სიმდიდრემაც-კი სიამოვნება არ მოუპოვა. ამ გვარად ეს მდიდარი და ამპარტავანი, ყველასაგან სანატრელი კაცი ბედნიერი არ იყო. შესაბრალისი იყო, რადგან ასე ფუჭად განვლო ცხოვრება. თავისის თავისს პატივისცემა არა ჰქონდა, სიხარულს ვერა ჰპოვებდა თავისს ჭერ ქვეშ, მდიდარი იყო ქონებით და ღატაკი სულით. საუბედუროდ, რაც უფრო ხანში შედიოდა, გულიც უქვავდებოდა და თავისს მეტი არავინ მიაჩნდა, ქონება-კი ემატებოდა.

რას შვრებოდა ამ დროს მისი საბრალო შვილი ბენიამინი? ორის წლის წანწალის შემდეგ დაბრუნდა სამშობლო ქვეყანაში. ცუდმა ცხოვრებამ ძალ-ღონე გამოულია და დაასნეულა. ისე უბედურად დაბრუნდა თავისს ქალაქში, რომ სისუტისაგან ფეხებს ძლივს-ღა მიათრევდა. მისი გული სინანულით სავსე იყო; სწუხდა თავისის წარსულის გამო და ამბობდა: „მე მივალ მამა-ჩემთან, ბოდიშს მოვითხოვ და პატიოსანს ცხოვრებას დავიწყებო“, დასწერა წერილი მასასთან, რომლითაც ატყობინებდა თავისის დაბრუნების ამბავს, და თითონვე ჩააგდო ფოსტის ყუთში. ამასობაში ისე დაღალა, რომ გულს შემოეყარა ერთს შენობასთან, სადაც ფიცრები ეყარა. როცა გამოერკვა, გულმა ტკივილი დაუწყო, საშინლად ჰყინავდა, იგრძნო, რომ იქვე მოკვდებოდა, თუ არავინ გამოუჩნდებოდა მხსნელი. ამ დროს გამოიარა ვიღამაც, საბრალომ უკანასკნელი ძალ-ღონე მოიკრიბა და შესძახა: „ღვთის გულისათვის მიშველეთ რამეო“! გამვლელმა შეხედა ერთს წამს და ცივად გატრიალდა. როდესაც მან გაიარა, ყმაწვილმა იცნო თავისი მამა და ისე აღელდა, რომ ხელმეორედ დაეცა თოვლზედ, რომელიც მალე თეთრ სუდარასავით გადაეფარა ზედ...

მეორე დღეს მამას შვილის წერილი მოუვიდა, წაიკითხა და გული სიამოვნებით გაუნათლდა; მოემზადა დაკარგულის შვილის დასახვედრად. საღამოზედ შეიტყო, რომ მისი შვილი ეპოვნათ თოვლში ჩაფლული და გაყინული. მაშინ მიჰხვდა უბედური მამა, რომ შვილი სთხოვდა შველას და მან უარ-ჰყო იგი. განა შესაძლებელია ამის შემდეგ მისთვის ბედნიერება? არასოდეს! რაშია გამოსაყენებელი შეძლება უგულო და უსინიდისო კაცის ხელში? ნუ დავნატრით ულმობელ მდიდართ; იმათ რომელთაც მხოლოდ ფული აქვთ და კეთილნი მოწყალენი და გულუხვნი-კი არ არიან: ისინი ეკუთვნიან ბატონ რაკილის საზოგადოებას... თავიანთის პირმოთნეობით სიბრალულის ღირსნი არიან. ნუ დაივიწყებთ, რომ უბრალო კეთილი საქმე ბევრჯელ დაიხსნის კაცს სიკვდილისაგან, და თუნდ ჩვენი შვილიც არ იყოს და სხვა გვთხოვდეს შველასა და მოწყალებას, გავიხსენოთ, რომ იმათაც მოეპოვებათ მშობლები, შეადგენენ ერთს ნაწილს იმ დიდ კაცობრიობისას, რომელთანაც ნათესაური კავშირი უნდა გვქონდეს. არ დავივიწყოთ მცნება ღვთისა: „შეიყვარე მოყვასი შენი, ვითარცა თავი თვისი“, და სიტყვანი ქრისტესნი: „იყვარებოდეთ ურთი ერთ არს“.

კნ. ან. ამ.

ვიცე-გუბერნატორი და სხვანი. ცეცხლის მქრობელი რაზმი გულ-მოდგინედ შეუდგა საქმეს. ცეცხლი ისე ძლიერ მოედო სახურავს, რომ სანამ მთლად არ გადააძრეს სახურავი სახლს, იმის განელება გაუჭირდათ. ბოლოს, როგორც იქმნა, ნაშუადღევის 1½ საათზედ ცეცხლი ჩააქრეს. ცეცხლის გაძლიერების შიშით პოლიციამ სახლის შუა და ზემო სართული დასცალა. ზარალი სასტუმროს პატრონს დიდი მოუვიდა. მიზეზი ცეცხლის გაჩენისა ნამდვილად არ იციან, მხოლოდ ამბობენ, რომ ცეცხლი ელექტრონის გამტარებელ მავთულისაგან გაჩნდაო. სახლი დაზღვეული ყოფილა. ცეცხლის ქრობის დროს ერთი სამწუხარო ამბავიც მოხდა: შუა სართულიდგან გადმოვარდა ერთი ჯარის-კაცი და ძალიან დაშავდა.

⁂ მიწად-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა მინისტრის რწმუნებულის ნება-რთვით, კავკასიის საბრეშუმო სადგური მისის იმპერატორებითის უმაღლესობის დიდის მთავრის ალექსანდრე მიხეილის ძის მამულში, დიოსკურიაში, (სოხუმის ოლქშია) საბრეშუმო სანერგესა ჰმართავს.

⁂ ტფილისის სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკში დაგირავებულ მამულების სავალო გარდასახადის შეუტანლობის გამო ამ წელს საჯარო ვაჭრობით გასასყიდად 15 ივნისისათვის დანიშნულია სულ 156 ქალაქის მამული. თუ რომ გასასყიდად დანიშნული მამულები ამ ვადაზედ არ გაიყიდება, მეორე საჯარო ვაჭრობა 6 ივნისს მოხდება.

⁂ ამ ბოლოს დროს გორის მაზრის ზოგიერთ სოფლის დათვალიერების დროს ადგილობრივ მცხოვრებთ უთხოვნიათ საგუბერნიო ექიმის ბ-ნის ქიქოძისათვის,—თუ შეიძლება ყვავილის ამცრელები გამოგვიგზავნეთ, რადგანაც ეს სენი მეტად გავრცელებულიაო.

⁂ ფოსტა-ტელეგრაფის მთავარ-სამმართველოს განკარგულება მოუხდენია, რომ ფასიანი კორესპონდენციებისა და ფოსტით გაგზავნილ ფულის მიღება შეუძლიანთ იმათაც, ვინც თავისს პირადობის შესამოწმებლად ადგილობრივს პოლიციაში შემოწმებულს პასპორტს წარადგენს ფოსტაში. დღემდის-კი კავკასიაში ფოსტით ფულის მიმღებთ საგანგებოდ ამისათვის შემოწმებული უწყება უნდა წარედგინა.

⁂ ზემო-ავჭალაში არსებულ მცირე წლოვან დამნაშავეთა გამასწორებელ ახალშენთან ბაღოსნობისა და მებოსტნეობის სკოლის დაარსების შესახებ წარდგენილს შუამდგომლობაზედ მიწათ-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს ის პასუხი მოუცია, რომ შეუძლებელია ჯერ-ჯერობით სკოლის გახსნა, რადგანაც ამ გვარ სკოლებისათვის საზოგადო ტიპის შემუშავებას მხოლოდ ეხლა შეუდგა სამინისტრო.

⁂ კავკასიის სამკურნალო ნაწილის მმართველი ბ-ნი ფენომენოვი ქიათურიდგან უკვე დაბრუნდა; როგორც სამხედრო-სამკურნალო ლაბორატორიის გამგეს ბ-ნის ლუნკევიჩისა და ფენომენოვის საბაქტერიოლოგო გამოკვლევას აღმოუჩენია, ქიათურაში გავრცელებულს გადამდებ სენს შავ ჭირთან საერთო არა აქვს-რა.

⁂ კავკასიის სამკურნალო ნაწილის სამმართველოს განკარგულებით ტფილისის საქალაქო სამკურნალოდგან ორი ექიმი იქმნა გაგზავნილი ქიათურაში, რომ ადგილობრივ გავრცელებულ გადამდებ სენის წინააღმდეგ ბრძოლაში მონაწილეობა მიიღონ.

⁂ დ. ჭიათურა. ხუთშაბათს, 18 მაისს, ნაშუადღევის 2 საათზე, დ. ჭიათურას მეტად დიდი უბედურება ეწვია. რაღაც, ჯერეთ გამოურკვეველ, მიზეზით ცეცხლი გაჩნდა ჰ. ნიორაძის სახლს, საიდამაც ცეცხლის ალი მწრაფლ მოედო გარეშემო დუქნებსა და თავლებს. შენობები უმეტესად ხისა იყო და ამიტომ გაძლიერებულმა ცეცხლმა სულ ორი-სამი საათის განმავლობაში ორმოცამდის სადგომი სახლი, დუქანი და თავლა სულ ერთიანად ფერფლად აქცია. ცეცხლი საოცარის სისწრაფით მოედო სახლებს, თუმცა დიდძალი ხალხი შეიკრიბა ცეცხლის ჩასაქრობად, მაგრამ მაინც ვერას გაჰხდნენ. იმ სახლებიდგან, რომლებსაც ცეცხლი წაეკიდა, ვერასფერი ვერ გადაარჩინეს. ბევრმა ფულის გამოტანაც-კი ვეღარ მოასწრო. მაგ. ჰ. ნიორაძეს სხვა ქონებასთან ერთად 1800 მან. დაეწვა ცეცხლში. ზოგს ისე გვიან გაეგო ცეცხლის გაჩენა, რომ სადგომებიდგან ალისაგან გარუჯულ-შეტრუსულმა ძლივს მოასწრო გამოვარდნა. დაიწვა საწყობებში დიდძალი სიმინდი, პური, ფართლეულობა, თივა და სხვ. როგორც ამბობენ, ზარალი 300,000 მანეთამდე იქნება. ბოლოს, როგორც იქმნა, ბოქაულად ნამყოფის ბ-ნის არდიშვილისა და სხვათა მეცადინეობით და ხელმძღვანელობით შეკრებილმა ხალხმა ისღა მოახერხა, რომ ცეცხლი სხვა სახლებზედ აღარ გადაუშვა.

⁂ სურამიდგან გვატყობინებენ, რომ 18 მაისს დ. სურამში ვიღაც უ—ნს ჩხუბის დროს ხანჯლით მოუკლავს იქაური მეეტლე გვარად ბერიძე. უ—ნს დაუქირავებია ეტლი და ექვს თავისს მთვრალ ამხანაგთან ერთად მოუნდომებია ეტლით სეირნობა; მეეტლეს უარი განუცხადებია, რომ ეტლი პატარაა, შვიდი კაცი ვერ დაეტევაო. ამაზე შელაპარაკებულან, ლაპარაკი კი დიდ ჩხუბად გადაქცეულა, რომლის დროსაც ხანჯლით უ—ნს გვერდში დაუჭრია ბერიძე. ბერიძე უკვე გარდაცვლილა. ამ ჩხუბის დროს აგრეთვე დაუჭრიათ ორი სხვა კაციც.

⁂ როგორც შევიტყეთ, ჭიათურის ბოქაულის თანამდებობაზედ, ბ-ნ ნ. არდიშვილის ნაცვლად, რომელიც დროებით იქმნა ამ თანამდებობიდგან გადაყენებული, ჰნიშნავენ ბ-ნს კოსტრესენსკის.

## სამურზაყანო და აფხაზეთი.

(ბ-ნ მაჭავარიანის „Чер. В.“-ში დაბეჭდილ წერილების გამო)

ამას წინად (იხ. „ივ.“ 1898 წ., № 241—242) ჩვენ ნათქვამი გვქონდა, რომ აფხაზები ქართველები არიანო. ეს არამც თუ ბ-ნს მაჭავარიანს (რომელსაც არ სწამს არამც თუ აფხაზების ე. ი. აფხაზეთში მცხოვრებლების (რასაკვირველია, რუსებისა და ბერძნების გარდა) არამედ იმერლებისა, გურულებისა და დანარჩენთა ქართველობაც), ზოგიერთ ქართველს მწერალსაც არ დაუჯერებია: ეს იქიდგან სჩანს, რომ ერთს ქართულ ნაწერში ამგვარი სიტყვები ამოვიკითხეთ: „ამა და ამ სასწავლებელში ამდენი მოსწავლეა; ეროვნებით ესენი არიან: ქართველები ამდენი, აფხაზები ამდენიო“.

ამ სიტყვების დამწერს რაც რომ მიემატებინა: „იმერლები ამდენი, გურულები...“ ბ-ნ მაჭავარიანის ნამდვილი გონებრივ მემკვიდრე იქმნებოდა. ამ საგანს ჩვენ კიდევ შევეხებით, თუ ნამეტანმა დაუჯერებლობამ იმედები არ დაგვიკარგა.

აქ გვინდა შევეხოთ მხოლოდ ბ-ნ მაჭავარიანის აზრს, მაგრამ პირდაპირ კი არა (პირდაპირ შეხება ის იქმნება, ბ-ნს მაჭავარიანს ვუმტკიცოთ, რომ იმერლები, მეგრელები, გურულები და სხ. ქართველები არიან მეთქი!), არამედ შესათვალისად იმისა, თუ რა მეცნიერთან მინდა გვქონია.

ბ-ნს მაჭავარიანს სწამს, რომ სამურზაყანოს მცხოვრებლები იმისთვის არიან „აფხაზები“ (ვხმარობთ ამ სიტყვას ისე, როგორც თვით ბ-ნი მაჭავარიანი და მისი გონებრივი მოძმეები და მემკვიდრენიც), რომ სამურზაყანო აფხაზეთს ეკუთვნოდაო. ამგვარი სიცრუე სხვა დიდ მნიშვნელოვან საგანში არამც თუ საზოგადოების, მთავრობის მხრივაც დასასჯელია! რომელი ისტორიულის საბუთებიდგან ამოკრიბა ეს ცნობები სამურზაყანოს შესახებ?

როგორც ისტორიული საბუთები, ისე მთავრობის შეხედულობა სამურზაყანოზე ცხადად ჰყოფს, რომ „სამურზაყანო რუსეთთან შეერთებამდის შეადგენდა სამეგრელოს მთავრობის საკუთრებას, და სამურზაყანოს მმართველნი სამეგრელოს მთავრების ძმობილნი იყვნენ სწორედ ისე, როგორც სხვა კუთხეების მებატონეები და თავადები, თუმცა სამურზაყანოს მმართველები თ. შერვაშიძეები იყვნენ.“

აი საბუთებიც:

4 დეკ. 1803 წ. სამურზაყანო შევიდა რუსეთის მფარველობის ქვეშ; სამურზაყანოს მთავარმა ერთგულება შეჰფიცა რუსეთს, მაგრამ როგორც ქვეშევრდომმა სამეგრელოს მთავრისამ. აი თვით ფიცის სიტყვები: „ჩვენ... მპყრობელნი სამურზაყანოსა... მონანი როგორც უმოწყალესის ხელმწიფისა,*) აგრეთვე სამეგრელოს თვით მპყრობელის ლევან დადიანისა“. (აქვე მოვიყვანთ რუსულად ფიცის სიტყვებს: უეჭველია, ბ-ნმა მაჭავარიანმა ქართული წერა-კითხვა და ლაპარაკი არ იცის და ვინმე ნათუმელ ქართველთაგანი არ დაიზარებს და აჩვენებს ბ-ნს მაჭავარიანს!):

Мы... державцы Самурдзакана... рабы какъ всемилостивѣйшаго государя, такъ и самодержца Мингреліи Левана Дадіани“.

(იხ. акт. Юрид. Вѣстн. 1891 წ. № 7—8 გვ. 316, М. Х.—(მიხეილ ხელთუფლიშვილისა). ეს ერთი.

მეორე. იხილეთ „სრული კრებული კანონების“ 1865 წ. ივნისის 29 დღისა. „უმაღლესად დამტკიცებული დებულება კავკასიის საკრებულოსის დაწესების შესახებ ქალაქ ზუგდიდში დროებითი საკრებულოსი სამეგრელოს, სვანეთის და სამურზაყანოს უმაღლესის წოდების გვართა ცნობაში მოსაყვანად“.

რაგვარი საბუთები უნდა წარედგინათ საკრებულოსათვის სამეგრელოს, სვანეთისა და სამურზაყანოს მცხოვრებლებს, რომ თავიანთი თავად-აზნაურობის ხარისხი დაემტკიცებინათ? ამის შესახებ ნათქვამია—II თ. § 21., სადაც სწერია:

„პირდაპირ დამამტკიცებელ საბუთებს ეკუთვნიან ეჭვს მიუღებელი საბუთები, სახელდობრ:

„1) ყოველგვარი ბოძებული წყალობის სიგელები იმერეთის მეფეების და გურიის და სამეგრელოს მთავრებისაგან“...

„6) შენიშვნა 2... სვანეთის და სამურზაყანოს უმაღლესის წოდების პირთაგან მიიღება: პირველთაგან—ამგვარივე სიგელები, განჩინებანი და გარდაწყვეტილებანი იმერეთის და საქართველოს მეფეების, უკანასკნელთაგან—იმერეთის მეფეების და სამეგრელოს მთავრების“.

აი რუსულადაც:

Гл. II, § 21. „Къ прямымъ доказательствамъ принадлежатъ неподлежащие сомнѣнію документы,-а именно:

1) Всякого рода жалованныя или охранныя грамоты, данныя Имеретинскими Царями и Владѣтелями Гуріи и Мингреліи“.

6) Примѣч. 2.... въ отношеніи лицъ высшаго сословія Сванетіи и Самурдзакани принимаются: въ отношеніи первыхъ, такого-же рода грамоты, приговоры и рѣшенія Имеретинскихъ и Грузинскихъ Царей, а въ отношеніи послѣднихъ—Имеретинскихъ Царей и Владѣтелей Мингреліи“ ср. § 65 п. 5. примѣч“.

თუ სამურზაყანო ოდესმე ეკუთვნოდა აფხაზეთს, რატომ მთავრობამ არ მოსთხოვა სამურზაყანოს უმაღლეს წოდებისაგან ვისმეს, ერთს მაინც, აფხაზეთის მთავრების სიგელები და საბუთები? იხ. მე-III ფურც... მაგრამ რა [illegible]. განა თითონ მაჭავარიანმა-კი არ იცის, რომ სამურზაყანოელები-კი არა, აფხაზებიც ნათესაობით ე. ი. გვარ-ტომობით ქართველები არიან? მაგრამ...

ყველაზედ უფრო ქართველისათვის გულ-საკლავი მის მწერლობაში შემდეგი მოვლენაა: არასოდეს იმერეთს, გურიას, სამეგრელოს ის საქართველოს არ უწოდებს და არასოდეს იმერელს, გურულს, მეგრელს ქართველებს არ ეძახის. აი, მაგალითებრ, რა ზმებს ხმარობს: „изъ Имеретіи, Мингреліи, Гуріи, Сванетіи и даже Грузіи“. ამისთანა ზმებს ხმარობს ის სულ ხშირად. ვინც უნდა რუსთაგანმა ან საზოგადოდ უცხო-ქვეყნელმა წაიკითხოს ამგვარი ადგილები, დარწმუნდება, რომ „Грузія“ სულ სხვაა, „Мингрелія“, „Имеретія“ სულ სხვაო. ასე ექცევა ეროვნულ და საგვარ-ტომო სახელწოდებას „ქართველ“-საც! მაგალითად, სოხუმის ოლქში რუსები ამდენია, ქართველები ამდენი, მეგრელები, იმერლები, გურულები ამდენიო. თუ კაცი „ქართველს“ იტყვის. იქ კიდევ რაღა სახმარია: „იმერლები, მეგრელები...

ბ-ნ მაჭავარიანის ამგვარმა ქადაგებამ კიდეც მოიტანა შესაფერი ნაყოფი: სამურზაყანოსა და აფხაზეთში, სადაც წირვა-ლოცვა და ყოველგვარი საეკლესიო სამსახური XIX საუკ. განმავლობაში ქართულს ენაზედ სრულდებოდა, ეხლა მოისპო ქართული წირვა-ლოცვა!..

ეხლა რომ მივმართოთ და ვკითხოთ ბ-ნს მაჭავარიანს, თუ რომელს ტომს, ან ეროვნებას ეკუთვნიან, მისის მოძღვრების თანახმად (მის წერილებში ფრიად გამოქვეყნებულისა), ყველას თა...ტყვის: მე „ბავშობაში გვარტომობით და ეროვნებითაც სამურზაყანოელი ვიყავი, ეხლა-კი ნათუმელი გახლავართ“.

აფხაზი გორდულაძე

*) რუსეთის ხელმწიფე იგულისხმება.

## უცხოეთი

ამერიკა. სანტერესო და მასთან საყურადღებოც შეერთებულ შტატების ზოგიერთ გაზეთების აზრი სამხრეთ აფრიკის ომისა და კერძოთ ბურების შესახებ. აი რას ამბობს „New York Times“-ი ნიუ-იორკში მახლარ დემონსტრაციის გამო, რომელშიაც ფედერაციის კონგრესის წევრებმაც მიიღეს მონაწილეობა:

„ყველას ესმის, რომ ამ ჟამად ჩვენ უყველაფერის ნებას მაძლევთ ჩვენს თავს, რადგანაც პრეზიდენტის არჩევის დრო დადგა. მაგრამ იმ აზრს, ვითომც ამერიკელი დეპუტატი ანუ სენატორი პასუხის მგებელი არ იყვეს საერთაშორისო საქმეში და მათს საქციელს არავითარი გავლენა არა ჰქონდეს საერთაშორისო დამოკიდებულებაზე, ადრე თუ გვიან შეუძლიან დიდს განსაცდელში ჩაგვაგდოს, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე სახელმწიფო უფრო თავმოყვარე გამოდგა და ნაკლებად მცნობი ზოგიერთ ჩვენებურ კრებების წევრთა ზნე-ხასიათისა, ვიდრე დიდი ბრიტანია“.

„New York Sun“-ის სიტყვით, „არც ერთს ერს არ შეუძლიან გულგრილად უცქიროს, თუ როგორ უსპობს დამოუკიდებლობას ერთი ხალხი მეორეს. მაგრამ რაც უნდა თანაგრძნობით ვუცქეროდეთ ტრანსვაალს, იმის გულისათვის ბრძოლის ატეხა არ შეგვიძლიან. მონროეს მოძღვრება, რომ ამერიკა ამერიკისავე გავლენის ქვეშ იმყოფებოდესო, როგორც ევროპა ევროპისავე, ჩვენის ეროვნობის დამოუკიდებლობის ქვაკუთხედს შეადგენს, და ამ მოძღვრებას უნდა ვიცავდეთ სიტყვით და საქმით. ევროპის რომელიმე დიდმა სახელმწიფომ რომ განიზრახოს შვეიცარიის გაჭყლეტა, ჩვენ ვერასფერს ვერ გავაწყობთ იმის წინააღმდეგ. აგრეთვე მოუხერხებელია ჩვენთვის დავიცვათ დამოუკიდებლობა სამხრეთ აფრიკის ამა თუ იმ რესპუბლიკისა“.

„New York Herald“-ი ჰკიცხავს რა ნიუ-იორკის ქალაქის მოურავის საქციელს, რომელმაც დიდის თანაგრძნობით მიიღო ბურების დესპანები და ნიუ-იორკელების მხრივ დახმარება აღუთქვა, ამბობს:

„ინგლისის ამას წინანდელი პასუხი მაკ-კინლეის წინადადებაზედ აშკარად ჰყოფს, რომ ის თავისს საქმეებში გარევის ნებას არავის მისცემს. როცა ზარბაზნების გრიალი გაისმის და ცხენოსანი ჯარი იერიშით მიდის, „გაჩერდი!“. იმ შემთხვევაში შეუძლიან დაუძახოს ვინმემ, მეტადრე თუ თავისი ბრძანების განხორციელება სწადიან, როცა ბრძოლის ველზე ისეთსავე ძლიერს ჯარს გაიყვანს, როგორიც მოწინააღმდეგეს ჰყავს. ეს იმდენად ცხადია, რომ ისეთმა ჭკვიანმა კაცებმა, როგორც ბურების დესპანები არიან, თითონვე უნდა მიჰხვდნენ, რომ ჩვენ ვერას გაუკეთებთ“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ჟურნალ-გაზეთებიდგან

(ამოკრებილი ამბები)

დანიის სატახტო ქალაქ კაპენგაგენში ამას წინად ერთმა ქალმა, ეკატერინე გორსბელმა, დააარსა დიდი, მშვენივრად მოწყობილი სადურგლო. ჯერ ისევ ახალგაზდობისას გორსბელი სიამოვნებით მისდევდა დურგლობას. შემდეგ ეს ხელობა კაპენგაგენში შეისწავლა: ჯერ შეგირდად შევიდა ერთ სახელოსნოში, შემდეგ მეორე სახელოსნოში გადავიდა ხატვის შესასწავლად. 1894 წელს გორსბელი ბერლინში წავიდა, იქ ერთს სახელოსნოში ქარგლად შევიდა. მუშებს ძალიან ეუცხოვათ სახელოსნოში ქალის შესვლა, მაგრამ მალე თავისს მუყაითობით და დაუცხრომელის შრომით ყველას პატივისცემა დაიმსახურა. სამი თვე დაჰყო ბერლინში, მერე პარიჟში გადავიდა, სადაც სამხატვრო სახელოსნოში შევიდა, ხოლო იქიდგან ლონდონში გადავიდა, რამდენსამე ხანს დაჰყო იქ, მერე უკან კაპენგაგენში დაბრუნდა დ̃ პატარა სახელოსნო გამართა. დანიის კრონპრინცესსამ გორსბელს შეუკვეთა გამოფენისათვის ავეჯი. ახალგაზდა ქალმა თავისს სახელოსნოში ისეთი კარგი სტოლები, სკამები და სხვა ავეჯეულობა მოამზადა, რომ გამოფენაზედ ყველას ყურადღება მიიქცია. მალე ისე გაუვარდა სახელი, რომ ყოველის მხრიდგან უკვეთავდნენ სამუშაოს. ეხლა ქ-ნ გორსბელს უზარმაზარი სადურგლო აქვს, სადაც მუშაობს ერთი მხატვარი, ერთი ხუროთ-მოძღვარი, 15 ქარგალი და მრავალი შეგირდი, ამათში სამი ქალია. გორსბელს კაპენგაგენის ერთს საუკეთესო ქუჩაზედ ავეჯეულობის მაღაზიაცა აქვს. ამ ჟამად ამ სახელოსნოს უკვეთავენ სამუშაოს არამც თუ მთელ დანიიდგან, არამედ ნორვეგიიდგან, შვეციიდგან და რუსეთიდგან.

ეკატერინე გორსბელი სოფლის სკოლის მასწავლებლის ქალია. მან მშვენიერი საშუალო განათლება მიიღო. ეს მეტად მხნე და მშრომელი ადამიანი ჯერ ახალგაზდაა, 27 წლის ქალია მხოლოდ. გორსბელს აზრადა აქვს თავისს სახელოსნოში დღეში რვა საათის მუშაობა შემოიღოს.

* * *

ბელგრადიდგან შემდეგ სამწუხარო ამბავს იუწყებიან. ამას წინად ამ ქალაქის მახლობლად დაბა არადაჩში საცეკვაო საღამო გაუმართავთ. შუა ცეკვაობის დროს ჭერში ჩამოკიდებული დიდი ლამფა ჩამოვარდნილა და ოთახში ცეცხლი გაჩენილა, სამი ქალი იქვე გარდაცვლილა, ოცამდე ქალი და კაცი კიდევ საშინლად დაშავებულა.

# დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

17 მაისი.

**პარიჟი.** საპარლამენტო წრეებში ჰფიქრობენ, რომ გალიფე უეჭველად გადადგება სამსახურიდგანაო. ვალდეკს აზრადა აქვს ეხლავე იზრუნოს და მოადგილე მონახოს.

**პეკინი.** ჯანოიძინში მცხოვრებ რამდენსამე ბელგიელს „დიდის მუშტის“ კაცებმა გზა შეუკრეს. ბელგიელნი ჯერ ჯეროვნით თავს იცავენ სექტანტებისაგან. „დიდის მუშტის“ რაზმი ქალაქ ფენტაის ცეცხლს უკიდებს. ბელგიელნი საშიშარ მდგომარეობაში არიან. იმავე სექტის რაზმმა დასწვა მანქანების მკეთებელი ქარხანა ფენტაიში. რამდენიმე კაცი დაიღუპა.

**კაპშტადტი.** ხმა დადის, რომ კრიუგერს აზრადა აქვს ოქროს მადნებს ცეცხლი წაუკიდოს. კრიუგერი პრეტორიაშია.

**ტანჟერი.** იუწყებიან, რომ მაროკოელნი ძლიერ არიან აღელვებულნი ფრანგების წინააღმდეგაო. სამღვთო ომს ჰქადაგებენ.

**ბუდა-პეშტი.** უნგრეთის დელეგაციამ უცვლელად მიიღო გარეშე საქმეთა სამინისტროს ბიუჯეტი. ვალკმა წინადადება შეიტანა, გამოეცხადოს გოლუხოვსკის მადლობა გარეშე საქმეების კარგად ხელმძღვანელობისათვისაო.

**პარიჟი**, როგორც ბურბონის სასახლეში ლაპარაკობენ, გალიფეს გადადგომა სამსახურიდგან აუცილებელია, რადგანაც ავადმყოფობა ნებას არ აძლევს განაგრძოს მინისტრად ყოფნა. გალიფეს მოადგილედ ანდრეს ასახელებენ. გენერალ ანდრეს ვალდეკმა დეპეშა გაუგზავნა. გალიფემ წერილით მიჰმართა ვალდეკს და აცნობა, რომ სამსახურიდგან გამოვდივარო. ხვალ გამოაცხადებენ ანდრეს სამხედრო მინისტრად დანიშვნის ამბავს.

**ტიან ძინი.** შეარაღებული რაზმი გერმანელთა და ფრანგთა ტიან-ძინიდგან გავიდა მიმწყვდეულ ბელგიელთა მისაშველებლად. ვიცე-კოროლმა ნება დართო რაზმს, ისარგებლოს რკინის გზით. შეერთებულ შტატების ერთის სამხედრო გემიდგან 100 ზღვაოსანს მოელიან.

**ლონდონი.** კვიორთან აშანტიების რაზმმა იერიში მიიტანა ინგლისის მცირე რაზმზედ, რომელიც, ერთის ინგლისელის აფიცრის უფროსობით, ჩიაუსებისაგან შესდგებოდა. აფიცერი და რამდენიმე ჩიაუსი მოკლულ იქმნენ.

**ლონდონი.** რობერტსი გერმისტონიდგან დეპეშით იუწყება: „ჩვენ აქ დღეს მოვედით; წინააღმდეგობა არავის გაუწევია. ამ ჟამად ის ადგილი გვიჭირავს, რომელიც აერთებს იოჰანესბურგს ნ̃ტალსა, პრეტორიასა და კლექსდორპთან. ამბობენ, რომ იოჰანესბურგში მშვიდობიანობაა. არც ერთი მადანი არ არის დაშავებული. ხვალ კამენდატს დავიბარებ ქალაქის გადმოსაცემად. ვფიქრობ, თუ წინააღმდეგობა არ გამიწიეს, ხვალ შუადღისას ჯარით იოჰანესბურგში შევალ“.

18 მაისი

**ლონდონი.** კონსერვატორთა ნადიმზედ სალისბიურიმ სიტყვა წარმოსთქვა. სხვათა შორის პირველმა მინისტრმა განაცხადა, რომ ინგლისმა ომი მიწა-ადგილის მოსამატებლად არ დაიწყო, მაგრამ ეხლა სასაცილო იქმნება განვაცხადო, რომ ინგლისი მიწას არ შემოიერთებს-მეთქი. ინგლისმა დიდი მსხვერპლი გაიღო იმიტომ, რომ შემდეგ ასეთი მსხვერპლი აღარ გახდეს საჭიროო.

ნიუ-კესტლიდგან იუწყებიან 29 მაისს: ზღვის ზარბაზნებიდგან მაუნტეპროსპექტში ყუმბარები დაუშინეს ბურების პოზიციებს პოგვაინასა და ლენგსნეკთან. მტერმა ყუმბარებითვე გასცა პასუხი.

**ჰამბურგი.** ფრანგ-გერმანელების რაზმი, ბელგიელთა, განსათავისუფლებლად გაგზავნილი ტიან ძინში, დაბრუნდა და თან 25 განთავისუფლებული კაცი მოიყვანა; მათ შორის ქალები და ბავშვებიც არიან.

**ბლუმფონტეინი.** რობერტსის პროკლამაცია, რომლითაც ორანჟეს რესპუბლიკის შემოერთებაა გამოცხადებული, გუბერნატორმა სავაჭრო მოედანზედ წაიკითხა. კითხვას აუარებელი ხალხი დაესწრო. მოედანზედ ჯარი იყო გამწკრივებული. პროკლამაციაში გამოცხადებულია, რომ ორანჟეს რესპუბლიკას სახელად „მდინარე ორანჟეს ახალშენი“ ეწოდაო.

**მოუნტსპროსპექტი.** ინგლისის ჯარმა კარგი პოზიციები დაიჭირა გუშინ ბურებმა ინგლისელების პოზიციებს ყუმბარები დაუშინეს, მაგრამ უნაყოფოდ. დღეს ინგლისელების მოწინავე რაზმებმა ბრძოლა დაიყეს. დიდმა ზარბაზნებმა ინგლისელებისამ ხელი შეუშალა ბურებს, ბოტას გასავლის გორაკზედ ზარბაზნები დაედგათ.

**ნიუ კესტლი.** ბულლერმა პროკლამაციაში გამოაცხადა, რომ ინგლისის ჯარი ტრანსვაალში შევაო. თუ გზაზედ მცხოვრებნი ნეიტრალიტეტს დაიცავენ, ბულლერი მათ შემწეობას ჰპირდება. იმ შემთხვევაში, თუ მცხოვრებთ გააფუჭეს რკინის გზები, ტელეგრაფები, ან რამე ძალმომრეობა იხმარეს ინგლისის ჯარის-კაცთა წინააღმდეგ, ისინი თავიანთ ქონებით აგებენ პასუხსაო.

**კაპშტადტი.** როგორც იოჰანესბურგიდგან მოსული კაცები იუწყებიან, იქ კერძო სახლებსა სძარცვავენ. სანიტარულ პირობებს არავითარ ყურადღებას არ აქცევენ.

18 მაისი.

**პეტერბურგი.** ავადმყოფობისა გამო შინაგან საქმეთა მინისტრმა მიმდინარე საქმეთა მართვა-გამგებლობა თავისს ამხანაგებს გადასცა; ბეჭდვითი საქმის მთავარი სამმართველო, ფოსტა-ტელეგრაფისა, სასულიერო საქმეთა და უცხო სარწმუნოებათ დეპარტამენტები გადაეცა სენატორს დურნოვოს, საერობო ნაწილისა და გადასახლების გამგე სამმართველონი გადაეცა ტაინი სოვეტნიკს სტიშინსკის, პოლიციისა და ჟანდარმთა კორპუსის დეპარტამენტები გადაეცა თავ. სვიატოპოლკ-მირსკის, სამკურნალო საბჭოსი, სასტატისტიკო ცენტრალურ და სატეხნიკო აშენებელ კომიტეტებისა და საზეითალო გამგეობის საქმეები თავადს ობოლენსკისა, ხოლო ფრიად საყურადღებო და პასუხის საგებელ საქმეთა ხელმძღვანელობა და მართვა-გამგეობა თითონ იკისრა.

**ტიან ძინი.** უცხო სახელმწიფოთა საელჩოების დასაცველად უცხო სახელმწიფოთა რაზმები იქმნა გაწვეული პეკინში; თითოეულს რაზმში ასი კაცია. ვიცე-კოროლი ნებას არ აძლევს, რომ ეს რაზმები ტიან-ძინიდგან პეკინში რკინის გზით გადაიყვანონ, ვიდრე ცუნგ-ლი-იამენისაგან ამის შესახებ თანხმობას არ მიიღებს.

**ტაკუ.** რუსეთისა და ინგლისის სამხედრო ხომალდები მოვიდა; ხომალდებიდგან ნაპირზედ ჯარის-კაცები გადმოსხეს; ტიან-ძინში ას რვა ამერიკელი ჯარის-კაცი მოვიდა; თან ორი ზარბაზანი აქვთ. ტიან-ძინს შიში არაფრისა აქვს.

**პრეტორია.** ბრიტანიის ოფიცრები იოჰანესბურგში არიან და დამორჩილების პირობებზედა აქვთ მცხოვრებლებთან მოლაპარაკება. როგორც ფიქრობენ წინააღმდეგობას გაუწევენ. ინგლისის მოწინავე ჯარი იოჰანესბურგისა და პრეტორიის შუა გზაზედ არის. ბურგომისტრის მიერ მოწვეულმა სახალხო კრებამ კომისსია ამოირჩია (კომისსიაში, სხვათა შორის, მოსამართლე გრეგოროვსკია), რომელსაც წესიერების დაცვა დაავალა. კრიუგერი ამ ჟამად ვატერვალბოვენშია.

**კიევი.** კიევის პალატის საგანგებო საკრებულო სკოტსკების საქმის გასარჩევად წავიდა; საერო განათლების მინისტრი ჟიტომირში წავიდა.

**ვლადიმირ-ვოლინსკი.** 16 მაისს, ღამით ქალაქს ცეცხლი გაუჩნდა; ნახევარი ქალაქი განადგურებულია; 800-მდე ებრაელთა ოჯახი მთლად დაგლახავდა; დიდი გაჭირვებაა. ადგილობრივი ქველ-მოქმედება ვერას გახდება.

**ნიუ-კესტლი.** მტერი ინგლისელების მემარჯვენე ჯარზედ აპირებდა იერიშის მიტანას; ამის გამო 14 მაისს გილიარდის რაზმი ვალდრიფტის გზით უტრეხტში მივიდა, ხოლო ლიტლტონის უფროსობით მეორე რაზმი —დორნბერგს. ბურებმა ჩრდილოეთისაკენ დაიწიეს. გილიარდმა უტრეხტი დაიჭირა. კლერი ლენგონეკს ესვრის ყუმბარებს. ბურები გამხნევებულები არიან.

**სენ კანტენი.** ნაშუადღევის 1 ს. და 50 წამზედ პარიჟიდგან პეტერბურგს მომავალი სწრაფი მატარებელი ხიდზედ საქონლის მატარებელს დაეჯახა. ლოკომოტივი წყალში გადავარდა; ორი მაშინისტი მოკლულია; მგზავრთაგან ძალიან არავინ დაშავებულა.

**კონსტანტინეპოლი.** ეგვიპტეში მყოფ ობერ-კომისარის ახმედ-მუხტარის სამსახურიდგან გადადგომა მიიღო სულთანმა.

**ტომსკი.** ტომსკის მიდამოებში შუადღისას ცეცხლი გაჩნდა. 200 სახლი დაიწო.

**ლორენცო-მარკეზი.** ჯარის უფროსმა კრაუზემ იოჰანესბურგი ჩააბარა რობერტს. პრეტორიიდგან ლორენცო-მარკეზში მოსულმა პირველმა მატარებელმა გუშინ რამდენიმე ბერძენი ჩამოიყვანა იოჰანესბურგიდგან. როგორც ეს ბერძნები ამბობენ, იოჰანესბურგიდგან გამოსვლის დროს ინგლისელებს მატარებლისათვის ყუმბარები დაუშენიათ და მატარებელი შუაზედ გაუწყვეტიათ; ერთი ნახევარი მატარებლისა ადგილობრივ დარჩა და პრეტორიისაკენ მხოლოდ მეორე ნახევარი-ღა წამოვიდაო. პრეტორიიდგან ჩამოსული მგზავრები ამბობენ, რომ პრეტორია მთლად დაცარიელებულიაო. მცხოვრებლები ზღვის ნაპირისაკენ მიისწრაფვიან.

**სიმფეროპოლი.** მთელს ნახევარ საათს სეტყვა მოდიოდა.

**ლონდონი**, პრეტორიიდგან იუწყებიან, რომ მცხოვრებლები წინააღმდეგობის გაწევას არ აპირებენ და შეიძლება ორის საათის განმავლობაში იქმნეს დამორჩილებულიო. პრეზიდენტი ვატერვალბანკს წავიდა. ინგლისელებს ბურგომისტრი მიიღებს. გავლენიან კაცთაგან კომისსია შესდგა, რომელსაც მცხოვრებთა სიცოცხლისა და ქონების მფარველობა აქვს დავალებული, ვიდრე სრულებით ინგლისელებს დაჰმორჩილდებოდნენ. ყველგან მშვიდობიანობაა. ხალხი ინგლისელების მოსვლის მოლოდინშია.

**ლორენცო-მარკეზი.** დელაგოას გზით საქონლის შემოტან-გატანა შეწყვეტილია, ალბად ტრანსვაალში მომხდარ ამბებისა გამო. პორტუგალიის ჯარმა ბრძანება მიიღო, საზღვრები დაიჭიროს; ფლოტსაც ბრძანება აქვს მიცემული ნაპირის სადგურებში იყოს მზად. ბურების რაზმი კომაპშპორტში მოვიდა.

**პრეტორია.** მდინარე ვაალზედ გადასულმა ინგლისის ჯარმა შაბათ ვიტბატერსთან იერიში მიიტანა ბურებზედ, მაგრამ ბურებმა ბოტას უფროსობით უკუ აქციეს იგინი. ინგლისის ჯარი მთელს დღეს ტყვიას უშენდა ბურებს, მაგრამ ამ უკანასკნელებმა ბოლოს მაინც გაიმირჯვეს და ინგლისელების სიმაგრეები დაიჭირეს. ინგლისელებს დიდი ზარალი მოუვიდათ.

**პრეტორია.** პრეტორიის გარეშემო გამართულ სიმაგრებიდგან ჯარი წავიდა.

**ლონდონი.** აქაურ გაზეთებს შანჰაიდგან დეპეშით ატყობინებენ: ჩინეთის მთავრობამ ბრძანება გამოსცა, რომ ვინც „დიდ მუშტის“ სექტაში მონაწილეობას მიიღებს, სიკვდილით დაისჯებაო.

ფრეიბურგიდგან იუწყებიან, რომ გენტერი გეისდორპში მოვიდაო.— პრეტორიიდგან დეპეშით იუწყებიან, რომ ბურებმა ფაქტიურად თავი გაანებეს ბრძოლასაო. საფიქრებელია, რომ ტრანსვაალის მთავრობასა ჰსურს სამშვიდობო მოლაპარაკებას შეუდგეს, თუ უკვე არ შესდგომია. გუშინ უკანასკნელად სცადეს ბურებმა: დეპეშით შეეკითხნენ სხვა-დასხვა ადგილას, იმედი არის თუ არა იმისა, რომ გარეშე მეგობრები მოგვეშველნენო?

**კლიპრივერი.** ინგლისელებისთვის წინააღმდეგობა არავის გაუწევია. რკინის გზის ლიანდაგი უვნებელია. თუ ბურებს უნდათ ნატალთან გზა არ შეუკრან, ბრძოლას უნდა შეუდგნენ.

**პეკინი.** რადგანაც „დიდის მუშტის“ აჯანყება ძლიერდება, პეკინში დიდ შიშს მიეცნენ. ევროპის სახელმწიფოთა ელჩებმა აცნობეს ძუნგ-ლი-იამენს, რომ გემებიდგან ჯარია დაბარებული და ეს ჯარი მალე მოვაო.

**იოკოჰამა.** რადგანაც ლიბერალებმა კაბინეტში თანამდებობანი მოითხოვეს, უთუოდ მთელი სამინისტრო გადადგება სამსახურიდგან.

**ტიან-ძინი.** აქ მოვიდა რუსეთის შვიდი სამხედრო გემი, ორი—საფრანგეთისა, ორი ინგლისისა, ერთი იტალიისა. ამ გემებიდგან ზღვაოსნები იქმნენ გადასხმული.

## წერილები რედაქციის მიმართ

უგულითადესს მადლობას ვუცხადებთ როგორც მე, ისე მთელი აქაური საზოგადოება ბ-ნს დიმიტრი ი. ხუნდაძეს, რომელმაც კეთილ ინება და გამოგვიწერა ამა წლის გაზეთი „კვალი“.

კალაგონის სკოლის მასწავლებელი სიმონ რამიშვილი.

—

უგულითადესს მადლობას ვუცხადებ ყველა იმათ, რომელთაც შემწეობა აღმოუჩინეს ს. მიქელგაბრიელის წიგნთ-საცავ-სამკითხველოს.

შემომწირველთა სია: სამ-სამი მანეთი: იორდანე გიორგის ძემ სიხარულიძემ და მასწავლებელმა გიორგი ს. წითლიძემ; თითო მანეთი: მარიამ ზაქარიას ასულმა გაჩეჩილაძემ, მღ. თომა დუგლაძემ, ლევანტი ქიპაშვილმა, ალექსანდრე თაბაგარმა, ფილიმონ გაჩეჩილაძემ, გიორგი ჩივაძემ, სერაპიონ მესხიშვილმა, თეოფილე ბოლქვაძემ, კარპე მოდებაძემ, ილიკო გუნცაძემ, დარისპან მარაქველიძემ; ათ-ათი შაური: მურზა გუჯაბიძემ, კლემენტი ნებიერიძემ, ტრიფონ ნიორაძემ, ბესარიონ მოდებაძემ, არსენ მგელაძემ, მათე შათირიშვილმა, ილარიონ ტუღუშმა, ნიკიტა ჩიჩუამ, მინა ბიბილაშვილია, ბესარიონ ვაშაძემ და რაფიელ ჩიხლაძემ; რუსულ-ქართული წიგნები, ღირებული ხუთმანეთად—დარისპან მარაქველიძემ; ვ. ჩ—ძემ 5 მან.; სულ შედგა წინანდელ 10 მ. 75 კ—ანად („ივერია“ № 65.) 38 მ. 25 კ. ამ ფულიდგან „კრებულის“ რედაქციას გადავეცი სამი მანეთი:

მივმართავთ ქართულ წიგნების გამომცემელთ და ვთხოვ შეძლებისადაგვარად დაგვეხმარონ თავიანთ გამოცემათა შემოწირვით.

ჩვენი ადრესი: Квирилы, учителю М. Чхаидзе.

ვ. მ. ჩხაიძე.

## სასამართლოს ცნობები.

ტფილისის სამოსამართლო პალატაში შემდეგი საქმეებია განსახილველად დანიშნული:

23 მაისი

საქმე ვლადიმირ კემულარიასი, რომელსაც სასჯ. დებულ. მე-1531 მუხ. აღნიშნული დანაშაული ედება ბრალად.

რეჯაბ კუთელიასი, რომელსაც კაცის მოკვლის განზრახვა ბრალდება.

ამას გარდა განხილულ იქმნება თორმეტი იმათი საქმე, რომელთაც ნებადაურთველად არაყის გამოხდა ჰბრალდებათ გორის მაზრაში, სახელდობრ საქმენი:

თავ. იაკობ მაჩაბლისა.
იოსებ და ნიკო მარძანიძეებისა.
გიორგი გურასპაშვილისა.
მართა ზაუთაშვილისა.
ელისაბედ არდემონაშვილისა.
სალომე ბუზალაძისა.
გიგო კოპაშვილისა.
სიმონ მახარაძისა.
სოფიო გიგოლაშვილისა.
იობი ბეტეშვილისა.
მარიამ ცხოვრებაშვილისა.
გოზაშვილისა და ბოშაშვილისა.

# განცხადებანი


ქ. ქუთაისში, საურთიერთო ნდობის საზოგადოების შენობაში, 29 მაისს, დილის 10 საათზე, **დანიშნულია ქუთაისის აბრეშუმეობისა და ქსოვის ამხანაგობის წევრთა საზოგადო**

## კ რ ე ბ ა,

რომელზედაც განხილული იქმნება მოხსენება კომისიისა ამხანაგობის მოსპობისა და წევრთა შორის ფულის განაწილების შესახებ.

(3—ნ.—2)

## ახალი სტამბა
მიხეილ გაჩეჩილაძისა
## დ. ყვირილაში

იღებს ყოველ გვარ სასტამბო საქმეებს გასაკეთებლად და ჰკისრულობს მათ შესრულებას სუფთად და სწრაფად. სტამბასთან არის წიგნებისა და კანცელარიის ნივთეულობის მაღაზია და წიგნების საკაზმავი სახელოსნო. ფასები ზომიერია.

(7—ნ—3).



## თვით-მოძრავი ელევატორი ხან-აგოვისა.

ასეთს ელევატორს დღე და ღამ განუწყვეტლივ ააქვს წყალი თავის-თავად ქვეიდგან ზევით. იგი საუცხოვა მინდვრებისა და ბაღების სარწყავად.

მსურველმა ამ ადრესით უნდა მიჰმართოს:

Л. Е. Ханъ-Агову, Тифлисъ, Петербургская улица, № 12.

(15—102—6)

ჰუმანის ფოტოგრაფია
# ა. ნ. როინაშვილისა,
რომელიც 1892-დან 1899 წლამდე ქალაქის ფოტოგრაფიას განაგებდა,
ახლა ხსნის ფოტოგრაფიულ საქმეს.
სურათების გადაღება ყოველ დღეს, მიუხედავად ამინდისა.
სამხედრო წოდების ყოფ. დ. მოსწავლეებს ნაკლები საფასური გამოერთმევათ.
ტფილისი, ზუბოვის ქ., წინანდლის სახლი, თამამშევის ქარვ. შესავალით.
(30—44—29)




(50—267—34)

გამოვიდა ახალი წიგნები:

ა) **ყვავილეთი ლ ლადებანი**
ფასი: ყდით 20 კაპ., უყდოთ 15 კ.
ბ) **ქართული მწერლობა მე X საუკუნემდე**, ფასი 40 კაპ.
გ) **Царица Тамара**, ფასი 50 კ.
დ) **Груз. обители внѣ Грузіи**, ფ. 25 კ.
ე) **Истор. груз. церкви**, ფ. 40 კ.
(20—უ.—4)

## „იავნანამ რა ჰქმნა?“

სახალხო და საყმაწვილო მოთხრობა იაკობ გოგებაშვილისა,

დაბეჭდილი მესამედ „წერა-კითხვის საზოგადოების“ მიერ, რომლის საკუთრებასაც შეადგენს. წიგნაკი შემკულია ცხრა სურათით და ღირს ერთ შაურად. იყიდება „წერა-კითხვის საზოგადოების“ წიგნის მაღაზიაში და სხვა ქალაქებშიაც გაიგზავნა.

(4—1)

## *Отъ конторы газеты*
# „НОВОЕ ОБОЗРѢНІЕ“
Изданіе газеты „НОВОЕ ОБОЗРѢНІЕ“ будетъ возобновлено
## СЪ 18-ГО АВГУСТА
## НАСТОЯЩАГО ГОДА.

Подписчики прошлаго года, непожелавшіе взять обратно оставшіяся за конторой деньги, будутъ получать газету БЕЗЪ ДОПЛАТЫ съ 18-го августа по 1-е октября. Тѣ изъ нихъ, которые пожелаютъ получать газету и затѣмъ, съ 1-го октября по 1-е января 1901 г., доплачиваютъ 2 руб. 50 коп. Новые же подписчики за время съ 18-го августа по 1-е января 1901 года платятъ 3 руб. 50 к. Подписчики прошлаго года, въ случаѣ перемѣны адреса за время до 18-го августа, сообщаютъ о томъ заблаговременно въ контору „Нов. Об.“, причемъ особой доплаты за перемѣну адреса не вносятъ.

**Для пріема подписки и объявленій контора (Барятинская, д. кн. Тумановыхъ) открыта по вторникамъ и пятницамъ, отъ 6 до 7 час. вечера.**


## ტფილისის სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკს

8 მაისს 1900 წელს ჰქონდა ორმოცდამეათე ტირაჟი ამ ბანკის გირავნობის ფურცლებისა.

ამ გირავნობის ფურცლებზედ ფულის გარდახდა დაიწყება 1900 წლის 1 ივლისიდგან. ფულის მიღება შეიძლება: ქ. ტფილისში — ბანკის კასსაში; ს. პეტერბურგში — პეტერბურგის საუჩოტო და გამსესხებელ ბანკში, ლიონის კრედიტში და ყველა იმის განყოფილებაში, პეტერბურგის კერძო სა კომერციო ბანკში, პეტერბურგის საერთაშორისო საკომერციო ბანკში და იმის განყოფილებებში; საბანკო სახლში ი. ვ. იუნკერისა და ამხ.; ოდესას — ბ-ნ ო. ხაისთან; მოსკოვში — მოსკოვის საუჩოტო ბანკში, მოსკოვის საერთაშორისო სავაჭრო ბანკში და ყველა იმის განყოფილებაში; ვარშავაში — ვარშავის საკომერციო ბანკში; ტაგანროგში — აზოვო-დონის საკომერციო ბანკში და ყველა იმის განყოფილებაში; რიგაში — რიგის საკომერციო ბანკში და ყველა იმის განყოფილებაში; რეველში — ბალტიის სავაჭრო-სამრეწველო ბანკში, და სახელმწიფო ბანკში და ყოველ ამ ბანკის კანტორასა და და განყოფილებაში.

ტირაჟში გამოსულ გირავნობის ფურცლებს თან უნდა ახლდეს ყველა კუპონი, რომელთაც ვადა 1900 წლის 1 ივლისს შემდეგ გასდის. ფას დაკლებულ კუპონების ნაცვლად იმათი ფასი იქნება დაჭერილი.

მე-50 ტირაჟში გამოსულ $4^1/_2\%$ უვადო გირავნობის ფურცლების ნომრები:

| 100 მან. ღირებულობ. | | | | 500 მან. ღირებულობ. | | | | 1000 მ. ღირებულობ. | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 701 | 1263 | 1469 | 1910 | 306 | 1181 | 1274 | 1713 | 301 | 685 | 1854 | 4256 |
| 1230 | 1298 | 1488 | 1920 | 586 | 1252 | 1343 | 1741 | 360 | 1595 | 2101 | 4261 |
| 1231 | 1371 | 1715 | 1936 | 801 | 1253 | 1442 | 1758 | 378 | 1665 | 3111 | 4588 |
| 1232 | 1447 | 1801 | 2010 | 885 | 1267 | 1676 | 1807 | 449 | 1728 | 3787 | 4589 |
| 1249 | 1461 | 1802 | 2078 | 902 | 1268 | 1712 | 1960 | 549 | 1740 | 4230 | |

მე 50 ტირაჟში გამოსულ 5% გირავნობის ფურცლების ნომრები:

### 100 მანეთიან ღირებულობისა.

| ვადიანი | | | უვადონი | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 29 წ. და 9 თვ. | 36 წ. და 4 თვ. | 61 წ. და 8 თვ. | | | | | | |
| 1 | 253 | 903 | 126 | 1016 | 1466 | 2247 | 3874 | 5809 |
| 65 | 505 | | 576 | 1025 | 1735 | 2427 | 3875 | 5811 |
| 72 | 383 | | 672 | 1040 | 1834 | 2839 | 3877 | 5812 |
| | 491 | | 673 | 1079 | 1845 | 2916 | 3878 | 5934 |
| | 1111 | | 677 | 1116 | 1852 | 3065 | 3879 | 5967 |
| | 1248 | | 679 | 1212 | 1870 | 3179 | 3909 | 6418 |
| | 1562 | | 761 | 1214 | 1896 | 3207 | 4869 | 6419 |
| | 1584 | | 769 | 1279 | 1967 | 3410 | 5048 | 6867 |
| | 1860 | | 900 | 1283 | 1976 | 3458 | 5059 | 6964 |
| | 2072 | | 947 | 1308 | 2125 | 3810 | 5060 | |
| | 2107 | | 958 | 1361 | 2208 | 3840 | 5515 | |
| | 2184 | | 967 | 1410 | 2212 | 3846 | 5600 | |

### 500 მან. ღირებულობისა.

| 36 წლის და 4 თვის ვადიანი. | უვადონი. | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 57 | 15 | 680 | 1225 | 1725 | 2788 | 3204 | 3845 | 4753 |
| 387 | 43 | 770 | 1289 | 1739 | 2938 | 3205 | 4054 | 4816 |
| 393 | 167 | 821 | 1297 | 1740 | 2964 | 3420 | 4084 | 4818 |
| 724 | 301 | 831 | 1396 | 1752 | 2966 | 3421 | 4085 | 4862 |
| 740 | 321 | 832 | 1397 | 1790 | 3060 | 3426 | 4165 | 4894 |
| | 341 | 943 | 1398 | 1793 | 3061 | 3447 | 4285 | 4897 |
| | 342 | 1014 | 1440 | 1953 | 3062 | 3471 | 4548 | 4898 |
| | 356 | 1015 | 1603 | 1960 | 3089 | 3622 | 4592 | 4899 |
| | 391 | 1065 | 1669 | 1969 | 3172 | 3679 | 4724 | 4917 |
| | 483 | 1091 | 1709 | 2375 | 3173 | 3694 | 4726 | 4954 |

### 1000 მან. ღირებულობისა.

| 36 წლის და 4 თვის ვადიანი. | უვადონი. | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 195 | 45 | 3039 | 4844 | 7555 | 9155 | 12586 | 15358 | 18475 |
| 434 | 123 | 3238 | 4877 | 7641 | 9499 | 12587 | 15378 | 18476 |
| 466 | 374 | 3240 | 4878 | 7642 | 9500 | 12734 | 15359 | 18477 |
| | 442 | 3340 | 4944 | 7649 | 9501 | 12782 | 15360 | 18478 |
| | 505 | 3341 | 5008 | 7766 | 9502 | 12799 | 17210 | 18603 |
| | 658 | 3342 | 5009 | 7964 | 9503 | 12909 | 17227 | 18612 |
| | 703 | 3343 | 5019 | 8017 | 9504 | 12932 | 17231 | 18613 |
| | 753 | 3345 | 5359 | 8202 | 9956 | 12941 | 17232 | 18614 |
| | 943 | 3379 | 5371 | 8203 | 9961 | 13105 | 17244 | 18676 |
| | 990 | 3380 | 5548 | 8204 | 9977 | 13117 | 17501 | 18922 |
| | 1532 | 3384 | 5706 | 8205 | 10522 | 13329 | 17502 | 18929 |
| | 1762 | 3441 | 5707 | 8206 | 10539 | 13338 | 18157 | 18963 |
| | 1771 | 3674 | 5721 | 8207 | 10618 | 13377 | 18158 | 18964 |
| | 1772 | 3687 | 5724 | 8382 | 11161 | 13397 | 18159 | 18970 |
| | 1773 | 3722 | 5725 | 8415 | 11176 | 13417 | 18160 | 18976 |
| | 1774 | 3728 | 5726 | 8418 | 11177 | 13489 | 18161 | 18977 |
| | 1854 | 3762 | 5727 | 8500 | 11260 | 13547 | 18162 | 18978 |
| | 1855 | 3929 | 5728 | 8501 | 11464 | 13600 | 18163 | 18979 |
| | 1879 | 4070 | 5729 | 8502 | 11465 | 13621 | 18164 | 19043 |
| | 1956 | 4208 | 5790 | 8503 | 11566 | 13622 | 18460 | 19048 |
| | 1957 | 4209 | 5791 | 8504 | 11683 | 13623 | 18461 | 19049 |
| | 2408 | 4210 | 5792 | 8505 | 11686 | 13924 | 18462 | 19051 |
| | 2422 | 4211 | 5793 | 8506 | 11791 | 13831 | 18463 | 19054 |
| | 2437 | 4371 | 5797 | 8507 | 11805 | 13921 | 18464 | 19063 |
| | 2559 | 4372 | 5798 | 8508 | 11842 | 13929 | 18465 | 19064 |
| | 2560 | 4373 | 5799 | 8509 | 11891 | 14185 | 18466 | 19078 |
| | 2571 | 4490 | 5960 | 8510 | 11915 | 14347 | 18467 | 19079 |
| | 2645 | 4492 | 6008 | 8512 | 12029 | 14359 | 18468 | |
| | 2646 | 4561 | 6028 | 8513 | 12136 | 15209 | 18469 | |
| | 2829 | 4652 | 6029 | 8514 | 12464 | 15210 | 18470 | |
| | 2834 | 4653 | 6081 | 8515 | 12513 | 15235 | 18471 | |
| | 2912 | 4693 | 6464 | 8974 | 12514 | 15280 | 18472 | |
| | 2915 | 4712 | 6739 | 8975 | 12557 | 15331 | 18473 | |
| | 2957 | 4750 | 7519 | 9051 | 12558 | 15338 | 17474 | |

Дозволено цензурою. Тифлисъ, 19-го Мая 1900 г. სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე